

# საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება N MOD 8 21 00000380

2021 წლის 14 მაისი ქ.თბილისი

## საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქონების განკარგვის მიზნით

### გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულების 46-ე პუნქტის, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ და „ო“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ: :

1. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 19 მარტის №135 ბრძანებით დამტკიცებული კონტრაქტის შესაბამისად, მოქმედი და ყოფილი სამხედრო მოსამსახურისათვის (რომელმაც სრულად იმსახურა ამ კონტრაქტით განსაზღვრული ვადით, აგრეთვე ამ კონტრაქტის საფუძველზე ბინის მიღების უფლება მოიპოვა სასამართლოს გადაწყვეტილებით) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინის, აგრეთვე საჯარო რეესტრში სამინისტროს სარგებლობაში რეგისტრირებული მშენებარე ბინის საკუთრებაში გადაცემის ღონისძიებათა განხორციელების მიზნით, შეიქმნას დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **კომისიის თავმჯდომარე** - საქართველოს თავდაცვის ძალების (შემდგომში - თავდაცვის ძალები) მეთაური;

ბ) **კომისიის თანათავმჯდომარეები** :

ბ.ა) საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

ბ.ბ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, რომელიც კურირებს სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტს;

გ) **კომისიის წევრები**:

გ.ა) თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე - გენერალური შტაბის უფროსი;

გ.ბ) თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდალი;

გ.გ) თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-1 პერსონალის დეპარტამენტის უფროსი;

გ.დ) თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-4 ლოჯისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი;

გ.ე) თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის უფროსი;

გ.ვ) სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

გ.ზ) სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

გ.თ) სამინისტროს ინფრასტრუქტურის მართვის, სტანდარტიზაციისა და კოდიფიკაციის დეპარტამენტის უფროსი.

2. ბრძანების პირველი პუნქტის „გ.ბ“-„გ.თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დროებითი კომისიის წევრის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამონაცვლედ განისაზღვროს მისი მოადგილე.

3. დროებითი კომისია უფლებამოსილია:

ა) განსაზღვროს და საქართველოს თავდაცვის მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგინოს მოქმედ და ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა (რომლებსაც წარმოექმნათ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 19 მარტის №135 ბრძანებით დამტკიცებული კონტრაქტის შესაბამისად ამავე კონტრაქტით განსაზღვრული ბინის საკუთრებაში მიღების უფლება) სია და მათთვის საკუთრებაში გადასაცემი სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინები, აგრეთვე საჯარო რეესტრში სამინისტროს სარგებლობაში რეგისტრირებული მშენებარე ბინები;

ბ) 40 კვ.მ-ზე მეტი ფართობის საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემისთვის რეკომენდაციები გასცეს იმ შემთხვევაში, თუ:

ბ.ა) შესაბამისი სამსახურის (მათ შორის თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ინფრასტრუქტურის სამსახურის შენობა-ნაგებობების მოწყობის განყოფილების)/უფლებამოსილი პირის დასკვნის საფუძველზე, შეუძლებელი იქნება საკუთრებაში გადასაცემი ფართიდან 40 კვ.მ-ის გამიჯვნა ისე, რომ გამიჯნულ ბინას არ დაეკარგება საცხოვრებელი/ნივთობრივი დანიშნულება; ან/და

ბ.ბ) შესაბამისი სამსახურის (მათ შორის თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ინფრასტრუქტურის სამსახურის შენობა-ნაგებობების მოწყობის განყოფილების)/უფლებამოსილი პირის დასკვნის საფუძველზე, დადგინდება, რომ საკუთრებაში გადასაცემ ბინაზე პირის მიერ გაწეული რემონტის ღირებულება აღემატება აღნიშნული საცხოვრებელი ფართის ღირებულების ნახევარს;

გ) განსაზღვროს ამ ბრძანების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სიაში შემავალი მოქმედი და ყოფილი კონკრეტული სამხედრო მოსამსახურისათვის საკუთრებაში გადასაცემი სამინისტროს ბალანსზე რიცხული კონკრეტული ბინის, აგრეთვე საჯარო რეესტრში სამინისტროს სარგებლობაში რეგისტრირებული მშენებარე კონკრეტული ბინის შერჩევის პროცედურა.

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ სიას, აგრეთვე საკუთრებაში გადასაცემი სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ბინებს, აგრეთვე საჯარო რეესტრში სამინისტროს სარგებლობაში რეგისტრირებული მშენებარე ბინების სიას ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. ამ ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის დღიდან ამ ბრძანებაში მოცემულ სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ბინებს ეხსნება სამსახურებრივი გამოყენებისათვის განკუთვნილი ბინის/სამსახურებრივი სარგებლობის ფართობის სტატუსი და ამოირიცხება სამინისტროს საბინაო ფონდიდან.

6. დროებითი კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კომისიის 9 წევრი მაინც, მათ შორის, დროებითი კომისიის თავმჯდომარე.

7. დროებით კომისიაზე გადაწყვეტილება მიიღება სახელობითი კენჭისყრის საფუძველზე, დროებითი კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

8. დროებითი კომისიის სამდივნოს ფუნქციას ახორციელებს და მისი საქმიანობის ორგანიზებას უზრუნველყოფს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა. სამდივნო ახორციელებს სხდომის დღის წესრიგში შესატანი საკითხების დამუშავებას, მათ შეთანხმებას კომისიის თავმჯდომარესთან და შეთანხმებული დღის წესრიგის გაცნობას კომისიის წევრებისთვის.

9. დროებითი კომისიის ოქმს ხელს აწერს კენჭისყრაში მონაწილე დროებითი კომისიის ყველა წევრი.

10. ამ ბრძანების მოქმედების განმავლობაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 19 მარტის №135 ბრძანებით დამტკიცებული კონტრაქტის შესაბამისად, მოქმედი და ყოფილი სამხედრო მოსამსახურისათვის (რომელმაც სრულად იმსახურა ამ კონტრაქტით განსაზღვრული ვადით, აგრეთვე ამ კონტრაქტის საფუძველზე ბინის მიღების უფლება მოიპოვა სასამართლოს გადაწყვეტილებით) სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინის, აგრეთვე საჯარო რეესტრში სამინისტროს სარგებლობაში რეგისტრირებული მშენებარე ბინის საკუთრებაში გადაცემაზე არ ვრცელდება:

ა) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინების სამსახურებრივ სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემისათვის გასატარებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის NMOD 0 19 00000600 ბრძანება;

ბ) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქონების განკარგვის მიზნით გასატარებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 25 ოქტომბრის NMOD 9 16 00000954 ბრძანება.

11. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემისათვის გასატარებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივნისის NMOD 5 16 00000608 ბრძანება.

12. ამ ბრძანების პირველი-მე-10 პუნქტები მოქმედებს ამ ბრძანების ძალაში

შესვლიდან 2021 წლის 15 ივლისამდე.

**ბრძანება N MOD 5 21 00000549 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;**

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი

ჯუანშერ ბურჭულაძე